№ 148 ივლისი 19, კვირა

1887

ივლისი 19, კვირა № 148

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

შინაარსი: ტფილისი, 18 ივლისი.— ახალი ამბავი. — ნაკვესი. — ცალკე წერილები: ა) კორრესპონდენცია ქუთაისიდგან; ბ) კორრესპონდენცია პარიჟიდგან (დასასრული), პ. ე—სა.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—წერილი რედაქციის მიმართ.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და კერძო და სახელმწიფო განცხადებანი.

ფელეტონი: ქართველთა შორის, სანოსი.

ტფილისი, 18 ივლისი

გვგონია, ჩვენ საკმაოდ ვაცოდინეთ მკითხველს, რომ იგი მუხლნი, რომელთათვისაც თავ-გამომეტებით უბრძოლია ვითომ „ერთს ნაწილს ჩვენის ინტელიგენციისას“, უკვე შეტანილნი ყოფილან ჩვენის ბანკების წესდებაში და რადგანაც იმ „ინტელიგენციას“ ეს არა სცოდნია, მაინც თავისი უძახნია. ჩვენი ხმა, ამბობს ის „ერთი ნაწილი ინტელიგენციისა“ „Новое Обозрѣніе“-ს ბაგითა: ხმად მღაღადებელად დარჩა უდაბნოსა შინაო. ეს ფიცი გვწამს და ბოლოს-კი გვაკვირვებს. მაგრამ ან რად უნდა გვიკვირდეს? თუ ეს ასეა, სჩანს იმ მუხლების შეტანაში იმათ იმოდენა მონაწილეობა მიუღიათ, რამოდენაც აზანბურელ თათარსა, თორემ თავისას თვითონვე როგორღა ვერ იცნობდნენ და ასრულებულს წადილს ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა რადად უწოდებდნენ!

ამასობაში, როცა იგივ „ერთი ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა“ ამაოდ იძახოდა, შეიტანეთ წესდებაში ესა-და-ეს რიგი და წესიო, იმის-და-მიუხედავად, რომ იგი რიგი და წესი უკვე შეტანილი იყო, ჩვენი ბანკები ხმა-ამოუღებლივ, უბუკ-ნაღაროდ იმ რიგისა და წესის ძალით შესაძლისს შემწეობას აძლევდნენ გლეხ-კაცობას და შეუსაძლისი-კი მიანებეს იმათ, ვისაც ჭაერში კოშკის აშენება საქმის კეთება ჰგონია. მაგალითებრ, ტფილისის ბანკის შემწეობით გლეხკაცობას დღემდე უყიდნია ტფილისის გუბერნიაში 14 მამული 70,000 მანათისა. უეჭველია, ქუთაისის ბანკსაც ამოდენა, თუ არ მეტიც, შემწეობა ექმნება გაწეული იქაურ გლეხ-კაცობისათვის და, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ საგანზედ ჩვენ ცნობა ხელთ არა გვაქვს.

რადგანაც ბანკის დაარსების დღიდამ დღეს აქამომდე ბანკს საჯარო ვაჭრობით, თუ თავის ნებაზედ სულ 46 სოფლის მამული გაუყიდნია, სულ ერთიანად თითქმის 460,000 მანათისა, სჩანს რომ გლეხ-კაცობას მამულების რიცხვის კვალობაზედ თითქმის მესამედი წილი ჰრგებია და ნასყიდობის ფულის მიხედვით-კი მეშვიდედზედ მეტი. რატომ უფრო ბევრი არაო?—იკითხვენ. ჯერ იმიტომ-რომ ქვეყანაზედ გლეხ-კაცებს გარდა სხვანიც ადამიანები არიან და ეს სხვები თვითეულად ცალკე გლეხ-კაცობაზედ უფრო შემძლებელნი არიან სყიდვისათვის და გლეხი უღონოა ამათ შეეცილოს. ვაჭრობა როგორც ყოველთვის, ისეც ამ შემთხვევაში ჯობნებაზეა, ანუ, უკედ ვსთქვათ, ბურთი ვაჭრობისა იმისია, ვინც სავაჭრო მოედანზედ მეტის მძლეველია. მერმე იმიტომ-რომ ამ ბანკისაგან გაყიდულ მამულების რიცხვში ზოგი წილი განგებ არის ჩავარდნილი თვით პატრონთაგან საჯარო გასასყიდად სხვა-და-სხვა ანგარიშისა გამო. აქ ზოგჯერ ქმარს სდომებია მამული ცოლისათვის, ცოლს ქმრისათვის, მამას შვილისათვის და მებრვე სხვა. აქ წინადვე საქმე ისეა დაწყობილი, რომ მამულის სასყიდლად სხვა ვერავინ გაიჭაჭანებს, თუ არ წინადვე შეპირებული და მორიგებული.

ცალკე ეს გარემოება, ცალკე უფრო ღონიერთა აუცილებელი შეცილება სავაჭროდ ჩავარდნილ მამულების რიცხვისაგან ცოტა წილსდა სტოვებს საგლეხოდ. ეს გარეთი მიზეზია, რომ გლეხნი ამ გზით ცოტა მამულებსა ჰყიდულობენ. აქ სხვა შინაგანი მიზეზიც არის, რომელსაც ღრმა ფესვი აქვს ჩვენებურ გლეხ-კაცის ზნე-ჩვეულებაში და რომელიც უამისოდაც ცოტას, თუ დიდს რიცხვს სასყიდ მამულებისას მეტის-მეტად უცოტავებს გლეხსა. ამაზედ, როგორც წინადაც ვსთქვით, მერე მოვილაპარაკებთ, ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ თუნდაც არც ერთი ზემოხსენებული მიზეზი ანგარიშში არ მივიღოთ და ციფირებს პირდაპირ გავუსწოროთ თვალი, მაინც მთელის გასასყიდ მამულების რიცხვიდამ მესამედის გლეხთა ხელში გადასვლა და ნასყიდობის ფულის კვალობაზედ-კი — მეშვიდედისა იმოდენად გონებაში ჩასაჭდევია, რომ გლეხ-კაცის გულ-შემატკივართა გული ცოტად თუ ბევრად უნდა მოეფხანოთ და დაეურვოთ.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბ-ნს გასილ ხუდხანიშვილს უკვე მიუღია მთავრობის ნება-რთვა ქართულს ენაზედ სამეურნეო გაზეთის გამოცემისა. გაზეთს სახელი ერქმევა „მეურნე“, გამოვა წიგნებად კვირაში ერთხელ და ფასი ოთხს მანეთს არ აღემატებაო. ბ-ნი ხუდხანიშვილი კიდეც შესდგომია რედაქციის შედგენას, ჟურნალისათვის სურათების დამზადებას და სხვასა. გაზეთის გამოცემას ამ შემოდგომიდამ დაიწყებსო.

*** გრიბოედოვის ქუჩაზე, როგორც შემოგვჩივიან იქ მცხოვრებნი, საშინელი სუნი ტრიალებს ალელოვის სახლებთან, ძველ „კრუჟოკის“ შენობასთან. ძალიანაც რომ დაიფაროს ცხვირ-პირი გამვლელ-გამომვლელმა და სულ სირბილით გაიაროს ის ადგილი, მაინც ისეთი მძიმე და ბზარი სუნია დაგუბებული გრიბოედოვის ქუჩის ხსენებულ ნაწილში, რომ სულ თავ-ბრუ დაესხმის მიუჩვეველ ადამიანსა. ჯერ ზამთარში რა არის ამისთანა უსუფთაო ადგილი და ახლა ზაფხულში, როდესაც იხრწნება სიცხისაგან ყოველივე ორგანიული მკვდარი საგანი, მეტად საჭიროა უსუფთაო ეზოების გაწმენდა, და ალელოვის ამ სახლებთან ეზოში თითქმის სამის ადლის სიმაღლეზე ჰყრია პატივი და ყოველდღეს ემატება როგორც სიმაღლე, ისე მომწამლავი შმორის და გახრწნილის სუნი.

*** ვისაც უცხო ქვეყნებში უცხოვრია და იქაურ სოვდაგრებთანა ჰქონია საქმე ყოველ დღიურ საჭირო ნივთების სყიდვაში, იმას სწორედ არ შეესცლევინება ჩვენებურ მაღაზიებში და დუქნებში. ერთი უბრალო ნივთი რა არის, იმასაც ნამდვილის ფასით არ დაგიფასებენ—უთუოდ ერთი ორად და ზოგჯერ სამად უნდა ასწიონ ნივთის ფასი, უნდა გელაჯუნონ, გაწვალონ და შეუძლებელია, რომ არ მოგატყუილონ. ამისთანა ლაჯუნს ჩვენში ვაჭრობის სახელი ჰქვიან და კაი ვაჭრის სახელიც იმასა აქვს გავარდნილი, ვინც უფრო ბევრი ლაჯუნი იცის. ეს საზიზღარი ავადმყოფობა ჩვენის სოვდაგრებისა მომდინარეობს იმ უფრო საზიზღარ სათავედამ, რომ ჩვენში ვაჭარი თავის-დღეში არა ჰკაბულდება დაწესებულს მოგებაზე, მუდამ იმის ცდაშია, რომ ალალ და სამართლიან მოგების გარდა ერთი-ორი გროში იქნება თუ აბაზი, მანათი და თუმანი კიდევ გააგდებინოს მსყიდველს ხერხიანის მოტყუილებითა. ეს ჩვეულება წვრილ-ფეხა ვაჭრებმა თავს მოახვიეს დიდრონ ვაჭრებსაც და აქედამ მსყიდველნიც ისე შეეჩვივნენ, რომ ნამდვილის ფასის დასახელებაზედაც-კი ჰგონიათ, უთუოდ მატყუილებენო, და ამიტომ ისევ იმისაგან იყიდიან, ვინც უფრო ძვირად დაუფასებს ჯერა და მერე თან-და-თან თითო გროშობით ჩამოდის დაბლა.

ეს საძაგელი სენი მოდებულია ჩვენში არა მარტო დაბა-სოფლებში და წვრილ ქალაქებში, არამედ ასეთმა

# ფელეტონი

### ქართველთა შორის

მაშინაც იძვრის მიწა?—რა გურჩიე გაზეთს?—„მუცელ-ბატონები“ და „კისერ-ბატონები“.—ახალი გრძნობა ქართველ კაცისა.—მოსაწველი და მოწველილი იჯარა.—წერილი ჩემდამო.

იმერეთი, სამეგრელო და გურია ჯერაც ვერ დამშვიდებულან მას შემდეგ, რაც იქითკენ მიწის-ძვრა მოხდა. თუმცა ამ მიწის-ძვრამ ძალიან იეფად ჩაგვიარა და მარტო თითო-ოროლა ადგილას გააპო მიწის ზედა-პირი, ერთი-ორი ფანჯრის შუშა გაგვიტეხა და აქა-იქ რალაებიც გადაგვიყარ-გადმოგვიყარა, მაგრამ მაინც ლიხთ-იმერნი ისე შეგვიშინდნენ, რომ დღესაც კანკალი და ცახცახი ვერ მოუშორებიათ თავიდამ. არც ლიხთ-ამერნი გამოდგნენ იმდენად გულ-მაგარნი, რომ ძილი არ დაჰფრთხოდათ:—„ჰაი, შვილოსა, ეს ცუდი ნიშანია. თუ-კი იქით იძრა მიწა, დღეს იქნება თუ ხვალ, აქედაც შეიჩმუჩნება, იზამს პირსა და მაშინ გვაყურებინებს ჩვენს სეირსა. მიწა, ლიხის იქით არის თუ აქედ, ერთი მიწაა საქართველოსი. ეტყობა გაგვირისხებია მეუფე და კარგი არა მოგველის-რა წინა. ალბად რაღაც ღვთის წყრომაა ჩვენს თავსაო“.

მკითხველებს ეცოდინებათ, რომ ამ რისხვის ასაცდენად ჩვენმა ხალხმა ერთი ჰკვიანური ღონე ილონა, ისეთი ჰკვიანური, ისეთი ჰკვიანური, რომ თქვენი მოწონებული. სწორედ იმიტომა წყრება ჩვენზე განგება, რომ ძალიან ბევრს ვირჯებით, ბევრსა ვშრომობთ, სულ ხორცის ნებიერებაზედა ვფიქრობთ და, რადგანაც ვიცით, რომ

ნებიერობა ხორცისა
სულისა წარსაწყმედია,

ამიტომ დროა მოვიდეთ გონს, ნულარ გავირჯებით მაინცა-და-მაინც, ნუ ვიშრომებთ ასე გამუდმებით და დავაწესოთ—კვირაში ერთი სხვა დღე კიდევ ვიუქმოთ მარტო მიწის-ძვრის სახელობაზე. მოდით, ეს დღე იყოს პარასკევი, რადგან პარასკევი მეტად მძიმე და ბაიყუში დღეაო. რაკი ხელს არ გავანძრევთ პარასკევობით, მაშინ აბა რაღამ უნდა შეაძრწუნოს და შესძრას მიწაო.

**

ნუ თუ ქართველ კაცს ამისთანა რამ ყოველთვის ჰკუას ახლო მიაჩნია! ნუ თუ შემთხვევა-კი მიეცეს, რომ გულ ალმა გაშხლართული იწვეს მიწაზე დილიდამ საღამომდის და მეტს სიკეთეს აღარა ნდომობს! იქნება ეგრეც იყოს და ამიტომაც მე იმ თავითვე წინააღმდეგი ვიყავი ჩვენის გაზეთისა, რაწამსაც-კი შევიტყე, რომ გაზეთსა სწადიან მიუთითოს ისეთს რამ ღონეზე, რომელიც ჰკვიან ხალხის ხელში მართლაც ძლევა-მოსილი და ყოვლად შემძლებელია, მაგრამ ჩვენისთანა უჯიგრო ხალხისათვის-კი სრულიად გამოუსადეგარი. რაკი მაგრე მოწადინებულია ჩვენი ხალხი, რომ ღვთის საამური საქმე უნდა ჩაიდინოს, ხელთ-უპყრობისა და სიზარმაცის მაგიერ, იმას უფრო მოაწონებს დამბადებელსა, თუ ერთს დღეს კვირაში მართლა სამადლო და საქებურ საქმეზე გადასდებს და ერთის დღის ნამუშავარს მოიხმარებს თავის შვილების სწავლებაზეო.

ბევრი ვილაპარაკე ამის წინააღმდეგ. ისიცა ვსთქვი, რომ ეგ რჩევა კიდეც რო მოიწონოს ჩვენმა ხალხმა, გადადვას კვირაში ერთის დღის ნამუშავარი, მოაგროვოს თანხა, იცოდეთ მაგ ფულს სწავლაზე თავის დღეში არ გამოიყენებს,—დაინახავს თუ არა თავი-თავს მოყრილ ფულებს, მაშინვე წვეულებას გაჰმართავს, „სამლვთოზე“ დაუძახებს გამვლელ-გამომვლელსა და ერთი-ორად უფრო მეტს დაჰხარჯავს ამ ქეიფში, ვიდრე იმას, რაც მოკრიბა; გარნა საქმე იმაზეა, რომ ასეთს რჩევას არამც თუ არ მოგვიწონებს, კიდეც გვიწყენს. ხომ იცით, რა სიბრძნის პატრონი იყო ჩვენი უკვდავი რუსთველი, და აბა მოიგონეთ იმისი დაუვიწყარი სიტყვები:

გონიერსა მწრთვნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

ესენი წინ დაუწლაგე გაზეთს, მაგრამ ვინ დაგიჯერა!...

**

ამ მაგალითიდამ თქვენ კარგად დაინახავთ ჩემს აზრს ამისთანაებზე. ჩემის აზრით, ისეთი საქმე უნდა ჩაიდინო, რომ ტყუილ-უბრალოდ არავინ მოიმდუროს; ისეთი სიტყვა უნდა სთქვა, რომ სულ პირში შემოგყურებდნენ და სტკბებოდნენ სმენითა მართლაც-და,

მწარისა საუბრისათვის
რად გინდა პირის გაღება?

აგერა ეხლა კიდე რაღაც ჰკრს ამბობენ—გურიაში იჩინა თავიო. ხალხი იძახის—„მუცელ-ბატონები“ და „კისერ-ბატონები“ გაგვიჩნდნენო. ამდგარა ჩვენი გაზეთის იქაური მწერალი და მოუნდომებია ჩააგონოს ხალხს, რომ ეგ „ბატონების“ საქმე-კი არ არის, არც ღვთისაგან თქვენზე მოვლენილი სენია, ეგ არის მხოლოდ მძიმე ავად-მყოფობა, რომელსაც უნდა უწამლოთ ექიმების ცოდნითაო. აბა ვინ იქნებოდა სულელი, რომ ამისთანა მართალი დაეჯერებინა! ჩემის აზრით, იმას არა აჯობებს-რა, რომ კაცმა კაცს გული მოუგოს. მე რომ იქა ვყოფილიყავ, კარგა-ლაზათიანად მოვისაზრებდი საქმესა და ასე ვიტყოდი: „მიწის-ძვრას ხომ ვუწამლეთ, რაკი პარასკევი იმის სანაცვლოდ გადავდეთ, ჩვენთვის რა დიდი საქმე იქნება, რომ ერთი დღეც „მუცელ-ბატონს“ და „კისერ-ბატონს“ შევსწიროთ. პარასკევს მოსდევს შაბათი. რაკი ხუთშაბათს დაჰბრუნდები სახლში, რომ პარასკევი იუქმო, ერთის დღისათვის ღირს-ღა შინიდამ გარედ გამოსვლა, რომ ახლა შაბათ-საღამოზე უკანვე დაჰბრუნდე! ბარემ ეს შაბათიც ზედ მივაყოლოთ და მშვენივრად სამი დღე ზედი-ზედ ქუდი ჰერში ვისროლოთ. „მუცელ-ბატონე-

განწყობილმა და დიდმა ქალაქმაც-კი, როგორიც არის დღეს ტფილისი, ვერ აიცდინა თავიდამ.

*** ჩვენ გვაცნობეს, რომ ამ თთვის 16-ს, ღამის სამს საათზე, ყარაჯალიდამ მონავალან ოთხი მებალე და სამის პოვოსკით და ერთის ურმით ხილი მოჰქონებიათ. რომელიც ურმით იყო, ის წინ წამოვიდა. სამის პოვოსკით მომავალთ დაჰხვდათ ხუთი ყაჩაღი წმინდა ბარბარეს ეკკლესიის ქვემოდ. ყაჩაღები თათრები იყვნენ და გაცარცვა დააპირეს, მაგრამ არ დაჰნებდნენ. ყაჩაღებს ძრიელ ბევრი ეცემათ კეტებით მებალეებისათვის. ორი ძალიან არის დამტვრეული და მესამე კი მსუბუქად არის ნაცემი. ურმით რომ წინ წავიდა, იმან თურმე ხმაურობა გაიგო და დაბრუნდა უკან მისაშველებლად. ამ კაცის დანახვაზე ყაჩაღები გაიქცნენ და წაღებით-კი ვერაფერი წაიღესო.

*** სომხურ გაზ. „ნორ-დარ“-სა სწერენ: 14 ივლისს სურამში დაასაფლავეს ერთი მოხუცი ას სამის წლის დედა-კაცი ლალო ბკოფიანცი. მთელი ჩამომავლობა ამ ერთის ადამიანისა–შვილები, შვილის შვილები და შვილის–შვილის შვილები, რიცხვით თურმე ოთხმოც-და-ოთხ სულამდეა.

*** გაზ. „Новое Обозрѣніе“-ში ვკითხულობთ, რომ მირზოევის ფაბრიკა, ტფილისში რომ არის, გადავიდა ამ დღეებში აქაურის ბანკირის ბ-ნ ჩითახოვის ხელში 300,000 მანათად.

*** იმავე გაზეთის სიღნაღელი კორრესპონდენტი სამართლიანად დასცინის სიღნაღის მოქალაქეთ, რომ იმოდენა ქალაქს, სადაც ათასი სული მცხოვრებია, დიდი ვაჭრობა და მრავალი ფული ტრიალებს, ერთ საცოდავ საქალაქო სასწავლებლის მეტი არ მოეპოვება თითქმის არც ერთი სხვა სასწავლებელიო. მეტადრე იქაური საზოგადოება ძრიელ ცოტასა ნაღვლობს ქალების განათლებაზე და არა აქვთ დედათა სკოლაო. თუ როგორმე გამოჩნდებოდა ვინმე მადლიანი ქალი და გაჰხსნიდა დედათა სასწავლებელს თავის საკუთარის ხარჯითა და მეცადინეობით, თორემ ეს ამოდენა ქალაქი ჯერ იქამდის ვერ ასულა, რომ თავის თავად მოუვიდეს ფიქრი სასწავლებლის გამართვისაო.

საკვირველია ამ სიღნაღელების საქმე. ყველას სასაცილო ის უნდა გახდეს ჩვენში და ყოველთვისაც ისე უნდა დაიჭიროს საქმე, რომ უბრალო სოფლებმა უნდა აჯობონ ხოლმე ადამიანურის ფიქრითა და ზნეობრივის მისწრაფებით რაიმე საზოგადო სიკეთისაკენ. იმავე კორრესპონდენტის სიტყვით, სიღნაღის ესრედ-წოდებული განათლებულები მეტზე არასა ჰფიქრობენ, გარდა სუკებსა და ღვინის ტიკჭორებზეო.

*** გაზეთი „მწყემსიც“ ამოწმებს ჩვენის კორრესპონდენტის მიერ მოწერილს სენსა, რომელიც გაჩენილა ჭიათურში:

შორაპნის მაზრაში, ჭიათურის მახლობლად, სადაც ქვა-გუნდის მადნებია, ამას წინედ გაჩნდა შავი ჟამის მზგავსი სნეულებაო, ამბობს ეს გაზეთი. ერთბაშად ავად გამხდარიყვნენ რვა სული. ეს ამბავი მაზრის უფროსმა გუბერნატორს შეატყობინა. მიიდნენ ადგილობრივ გუბერნიის და მაზრის ექიმები და გამოიკვლიეს სნეულება. აღმოჩნდა, რომ ერთს კაცს ჭირიანი საქონელი დაეკლა და ვისაც ამ ჭირიან საქონლის ხორცი ეჭამა, ციმბირის წყლულით გამხდარიყვნენ ავად. სამი კაცი ამ სენით კიდეც მომკვდარა. ეხლა, როგორც ამბობენ, ზომაა მიიღებული, რომ სნეულება არ გავრცელდესო. ღმერთმან ინებოს!

შორაპნის მაზრას დიდის ყურადღების მიქცევა სჭირდება ამ დროს მაინც, როდესაც ამდენი ხალხია აქ თავ-მოყრილი ყოველ კუთხიდგან ქვა-გუნდის საზიდავად. თვითონ ყვირილაში მრავალს ადგილას შეხვდებით ქუჩებში დახოცილ საქონლების მძოვრს და კაცი არ არის, რომ მიწაში დაამარხვინოს ესენი და ჰაერი არ იწამლებოდეს მათის მყრალის სუნით. გზებში დახოცილ ცხოველებს მდ. ყვირილაში აგდებენ და წყალი, რომელსაც ხალხი ხმარობს, გაფუჭებულია. ამას ყველაფერს ყურადღების მიქცევა უნდა, მაგრამ მოსამსახურე პირების რიცხვი ჩვენში დღესაც ისევ იმდენია, რამდენიც იყო ძველ დროსაო.

*** იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ მღლეთის მღვდელმა ალ. გულისაშვილმა, გარდა იმ ორმოცის თუმნისა, რომელიც მიიღო მან ბატონის ობერ-პროკურორის შუამდგომლობით უწმიდეს სინოდისაგან, მიიღო კიდევ, მისივე შუამავლობით, ოც-და-თხუთმეტი თუმანი საეკკლესიო სამრევლო სკოლის შენობის ასაშენებლად, და სხვა-და-სხვა ნივთები და სამკაული მღლეთის ეკკლესიისათვისაო.

## ნაკვესი

ერთი დიდებული მებატონე სცხოვრებდა ერთს ყრუ ადგილს, გზის პირად. უსაქმურობის გამო იჯდა დირეზედ და თვალს ადევნებდა გამვლელ-გამომვლელს. იმას ჰყავნდა ერთი მოსამსახურე, რომელსაც, რამწამს მგზავრს ვისმე დაინახავდა, ჰგზავნიდა საკითხავად: ვინა ბრძანდებითო. ერთხელ გაიარა ერთმა ცხენოსანმა. ბატონმა გამოუგზავნა თავისი ერთგული მოსამსახურე. მოსამსახურე ქუდ-მოგლეჯილი მოეწია და დააყენა მგზავრი.

— რა გინდაო?—ჰკითხა მგზავრმა: —რისთვის დამაყენე? ჩემთვის გზას გეშურებოდი.

— ბატონს უნდა შეიტყოს, თუ ვინა ბრძანდებით.

— მარტო მაგისთვის მომაცდინეთ გზასა? შენც გიჟი ყოფილხარ და შენი გამომგზავნელიცა! წადი და ასე უთხარ შენს ბატონსა.

მსახური დაბრუნდა ბატონთან.

— ვინ იყო, ბიჭო?—ჰკითხა მსახურს ბატონმა.

— არ ვიცი, მაგრამ სჩანს, რომ ჩვენ ძალიან კარგად გვიცნობს.

— როგორა?

— თქვენ კიდევ დიდი კაცი ბრძანდებით და რა საკვირველია, რომ გიცნობდეთ, მაგრამ ჩემი ამბავი საიდამღა შეუტყვია?

— რას ამბობ, კაცო?

— რასა და იმან ის მითხრა, რომ შენც გიჟი ყოფილხარ და შენი ბატონიცაო.

## წერილი ქუთაისიდამ

ქ. ქუთაისი, 14 ივლისს. ერთს იტალიელს ქალაქზე, სახელდობრ ნეაპოლზე, ნათქვამია: „Vidi Napoli e povi mori“ —ნახე ნეაპოლიო და მერე სიკვდილსაც ნუ ინაღვლებო.

ჩვენს ქუთაისს, გულდად რომ გსთქვათ, ზღვა არ ახლავს, მაგრამ მდებარეობით ნეაპოლს არ ჩამოუვარდება და მშვენიერებითაც იმოდენად მშვენიერია, რომ მასზედაც შეიძლება ითქვას იგივე სიტყვები. მართლადაც, დაუახლოვდებით თუ არა ქუთაისს, რიონის სადგურიდგან წამოსული, თქვენ წარმოგიდგებათ მაღლიდგან გადმოფენილი გაშლილი მწვანე ხავერდის ნოხი შიგა-და-შიგ თვალ-მარგალიტებით ჩართული და, როცა გადმოჰყურებთ იმ სერებიდგან, რომელნიც გარს არტყიან ქუთაისს, თქვენი თვალი დასტკბება სწორედ მშვენიერის ბუნების მზერით. მაგრამ შეხვალთ თუ არა ქუთაისში, პირველი შთაბეჭდილება ქუთაისის სიმშვენიერისა, ცოტადი არ იყოს, მცირდება, რადგანაც საარაკო მტვერი საკმაოდ გიზიანებთ თვალებს და ჩვენი გაცვეთილი და ოღრო-ჩოღრო ქუჩები სრულიად დაგავიწყებენ ქალაქის გარეშემო ბუნების სიმშვენიერეს.

რასაკვირველია, უჩემოდაც გაგონილი გექნებათ, თუ რა არის ქუთაისის მტვერ-ტალახი, რომელსაც ისე შევეჩვიეთ, რომ სიტყვასაც არ დავსძრავდით, თუ რომ ამ უკანასკნელ ხანებში ისეთს გარემოებას არ ეჩინა თავი, რომელიც სრულიად შემუსვრას ჰპირდება აქაურს მტვერ-ტალახს. ჩვენ ვამბობთ ქუჩების შეკეთებისა და მიდით წყლის გამოყვანის თაობაზედ, რომლებსაც ძალიან აალაპარაკა ჩვენი მკვიდრნი, მაგრამ დაუდევარი ქალაქი. რაც შეეხება ქუჩების შეკეთებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საქმე ითავა აქაურმა პოლიციის უფროსმა, და აი რა რიგად.

ქუთაისში ქუჩების შეკეთება და შენახვა მიგდებულია თვით მცხოვრებლებზე, და ვინ არ იცის, რომ ჩვენი კაცი სიწმინდისა და სიფაქიზისათვის არაფერს გაიმეტებს, თუ მრავალჯერ არ წასჩიჩინე. ამასთანავე ისიც უნდა მოგიხსენიოთ, რომ ქუთაისი ძლიერ გაფართოვებულია, დიდი მანძილი უკავია და ზოგ ქუჩაზე 50 საჟენზედაც ვერ შეხვდები მოსახლეს, და ამ მანძილზედ ვინდა უნდა აკეთოს ქუჩა? უპირველესად ამას უნდა დავუმატოთ, რომ ხშირი მოსახლობა სადაც არის, ყველას ერთს დროს არ მოუვა სურვილი ქუჩის შეკეთებისა და თაოსნობას ხომ მაინც არავინ იკისრებს. აი ამიტომაც საჭირო იყო, რომ ვისმეს ეთავა ეს საქმე და ხვეწნით, წაქეზებით და სხვა ღონისძიებითაც ეკისრებინა მცხოვრებთათვის ქუჩების მოვლა და შენახვა. აი, როგორ მოქმედებს ამისათვის აქაურის პოლიციის უფროსი: იგი მოიწვევს ხოლმე ერთ ქუჩის ყველა მცხოვრებლებს, დაადგენინებს პირობას ქუჩის შეკეთების შესახებ, მეორე დღესვე შეუდგება ქუჩის კეთებას და შემდეგ თან-და-თან ჰკრეფს ფულებს მცხოვრებლებისაგან. ამ ნაირად იმის თაოსნობით გაკეთებულ იქმნა ერთი უმთავრესი ქუჩათაგანი, ორ-პირის ქუჩა, სადაც ორის წლის წინად ერთი მთვრალი ჯარის-კაცი კინაღამ დაირჩო. ეხლა ერთსა და იმავე დროს ოთხს ქუჩას აკეთებენ და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან უმთავრესს ქუჩას ტფილისისას, რომელიც რკინის-გზის სადგურიდგან მოდის და რომელსაც ყველაზედ მეტი ჯაფა ადგია. დღემდის ჩვენ მოკლებულნი ვიყავით ცეცხლის საქრობ მოწყობილებას, თუმცა ქუთაისი ისე ღარიბი არ არის, რომ შეძლება არ ჰქონოდეს, გაემართა იგი. მით უფრო საჭირო იყო ცეცხლის საქრობი მოწყობილება, რომ ქუთაისში ძალიან ხშირად უჩნდება ხოლმე ცეცხლი დაზღვეულს შენობებს. როგორც ეტყობა ცეცხლის საქრობ მოწყობილების უქონლობასაც ამ ცოტას ხანში ბოლო უნდა მოეღოს. პოლიციის უფროსმა ამისთვის საჭირო ფული, ხუ-

---

ბის“ და „კისერ-ბატონებისთვის“ ხომ სულ ერთია, რომელი დღეც უნდა იყოს იმათ სახელობაზე და ჩვენთვისკი „შაბათი უფრო სანთი დღეა“. ამისთანა ლაპარაკს ყველა მოვიწონებდა, რა თქმა უნდა. ახლა თუ საქონლის პირი ხიდგამდა ფეხს, აი როგორც ეხლა ჯიმითისაკენ აპირებს კიდეც, არც მაშინ ჩამოვრჩებოდი დროთა ვითარებას. მაშინ კიდევ ხუთშაბათს წავატანდი ხელსა. კალიის თაობაზე —ოთხშაბათს. მერე ერთი კიდევ გამოსტყვრებოდა რამ. აი, თუნდა სეტყვა. ელიას ორშაბათი ძრიელ უყვარს. ორშაბათს ვუძღვნიდით ელიასა, რომ სეტყვისა და ქუხილისაგან დავეხსნეთ და მერე წავიდოდა და ღმერთი გვიშველიდა. მაშინ კვირაში მარტო ერთი დღე-ღა დაგვრჩებოდა სამუშაოდ, სამშაბათი. სამშაბათი თანაც კაი დღეა—იმას არავინ ემდურის. ერთი დღე საცა უნდა ყოფილიყო, ვიმუშავებდით როგორმე. სხვა არა იყოს-რა, ხავსი აღარ მოგვეკიდებოდა. მაშინ ვეტყოდით ჩვენს თავსა: „კვირაში ერთი დღე იშრომე, რათა ოფლითა შენითა სჭამო პური შენი, და ექვსი დღე იუქმე, რათა განცხრომითა შენითა დასტკბეო.“

აბა ნეტარი დრო მაშინ დაგვიდგებოდა, აი! თორემ ყველა უბედურებაში გამრჯელობაზე უჩიჩინებთ, მერე რაღაც სწავლისათვის, თითქო ადვილი საქმე იყოს!

**

ყველაზე საკვირველი ის არის, რომ იციან ჩვენის ერის ხასიათი, იციან, რომ ქართველი კაცი მზაა განცხრომას მიეცეს, თუ-კი როგორმე ჩაიგდო ხელში დრო, და კიდევ მოიპოვებიან ჩვენ შორის ისეთები, ვინც ძრიელ გულით არიან მოწადინებულნი, რომ ჩვენმა გლეხობამ შეისყიდოს ბანკის მიერ გასასყიდად დანიშნული მამულები. თუ-კი ერთის მხრით იმდენი დღესასწაული ექნება გლეხ-კაცსა კვირაში, რამდენი თითიც ხელზე მოეპოვება, და კიდევ ერთით მეტიც, მაშინ ან მამული რად უნდა იმასა და ან დედული. რაცა აქვს, იმაზედაც რომ ეხლავ ხელი აიღოს, ის უფრო ემჯობინება—ეგებ პირიან ფასად გაჰყიდოს კიდეცა, მანამ განზრახული უქმეები არ დაუწესებია და მანამ ამიტომ ჯერ მამულები უპატრონოდ არ დაჰრჩომია.

არა, ჩვენის ქვეყნის ცხოვრება ერთის მხრით ძრიელ სადა რამ არის, მაგრამ მეორეს მხრით ძალიან აჰრეულებული. არ იცი, საიდამ მოუარო საქმეს. ბოლოდამ აიღებ, თავში წყდება, თავს ჩაჰკიდებ ხელსა, და ბოლო მიგისხლტის. თუ ჩვენს ხალხს მიწა არა აქვს, პურს ვერ მოიყვანს და მშიერმა უნდა იაროს თავისი სიცოცხლე. თუ მისცემთ მიწას, მაშინ იმას ისე დაბნელებული აქვს გონების თვალი, რომ მიწის-ძირა გინდა, ცივებ-ცხელება, სახადი, ჩუტყვავილა, თურქული და სხვა ათასი სენი ისეთს გარემოებაში ჩააგდებს ხოლმე და ისე გადუწყვეტს იმედს, რომ მიწაც ავიწყდება, გარჯაც, ჭკუასაცა ჰკარგავს და ამისთანა ყოფაში რად უნდა ან კეთილი ცხოვრება, ან სიმდიდრე, ან ფლავი და ან ბოზბაში.

**

ამით მე მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ ჩვენს ხალხს ჰმართებს ბევრ ნაირად ინაღვლოს თავის თავზე და თავისი ცხოვრება იმ კილოზე მომართოს, რომ არც ერთმა შემთხვევამ არ დაგვეიკარგოს ის ერთი ბეწვა ჭკუა, რომელიც მოუმადლებია ჩვენთვის განგებასა. ამ მხრით რაც არის, იმას მაინც უნდა მაგრა მოვეჭიდნეთ.

მართალია, მიწის-ძირამ, რაღაც „მუცელ-ბატონებმა“ და კიდევ ათასმა მწარე მაგალითმა ჩვენის ცხოვრებისამ ასეთი უნუგეშო აზრი ჩაგვაჭდევინა ამ წერილში, მაგრამ მაინც ღმერთმა ნუ დაგვეიკარგოს სამუდამოდ ის წინ-მავალი ვარსკვლავი, რომელსაც ეძახიან რწმენას, რომ ჩვენი გარემოება უკეთესობაშიაც წასდგამს ფეხსა. საქმე ფეხის-წადგმაა, თორემ რაკი ერთი გემოს გაიგებთ ადამიანურის ცხოვრებისას, მერე ძალადაც რომ მოვიწადინოთ სიბნელეში ყოფნა, ნათელი თავის თავად გადმოგვაშუქებს და დაგვიტკბობს წუთი-სოფელსა.

ასეთს რწმენას ჩვენში აღვიძებს თითო-ოროლა მაგალითი, რომელიც აქა-იქ ჰბჟუტავს ჩვენს გარშემო. ამ მაგალითებში პირველი ადგილი უჭირავს, რასაკვირველია, იმ ამბავს, რომ ჩვენმა ხალხმა ცოტ-ცოტაობით გამოიჩინა სწავლის სურვილი. თანაცა ვხედავთ, რომ ეს სურვილი-კი არა ჰკლებულობს, არამედ ჰმატულობს დღითი-დღე. ეხლა არა მარტო მაღალი საზოგადოება, დაბალიცა ჰგრძნობს ცოტათი მაინც, რომ

სჯობს ყოლა უწვრთის მამისა
უწვრთელის შვილის ყოლასა.

ეხლა საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ამ წმინდა გრძნობას ხელი შეუწყონ ყველამ, ვისაც-კი რაიმე სახსარი მოეძევება,

**

წაიკითხავდით გულ-საკლავ წერილს, რომელიც ბაკურ-ციხელ გლეხის ბიჭებს მოეწერათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“. დაწინაურებულნი მოძმენი დაგვცინიან—ცრუ-მორწმუნენი ხართო, და კი არ ვიცით, რაში ჰხედავენ ჩვენს ცრუ-მორწმუნებასო. გვინდა ვიცოდეთ ჩვენი ნაკლი, რომ ვეცადოთ მის მაგიერ სიკეთე ჩავინერგოთ გულში და ტვინშიო. გვწყურიან სწავლა და აბა, მოგვეშველენით, წიგნები მაინც მოგვეცით, რომ იქიდამ შევიგნოთ გონიერული სიტყვაო. თორემ ჩვენ თითონ არა მოგვეპოვება-რა და თუ „საზოგადოებაც“ ზურგს შემოგვაქცევს, მაშინ უნდა „ავიბაროთ პირი და წყალში გადავცვივდეთ“-ო. ამისთანა სიტყვები ქვასაც გაჰხეთქვენ და კაცის გული, რაც უნდა იყოს, ქვაზე ხომ ცოტათი მაინც რბილია. ნუ თუ ასეთი ცხოველი წყურვილი ხალხისა სწავლისადმი მაინც ვერ მოიყვანს გონს ჩვენს დაწინაურებულს საზოგადოებას და ვერ აფიქრებინებს, რომ ეხლა-კი დროა ინაღვლოს, თავისი მოძმენი გონების ფეხზე დააყენოს.

**

მართალია, არა მგონია, რომ მკითხველი ძალიან დამემდუროს ასეთის მოძღვრებისათვის, მაგრამ მაინც სახიფათო საქმეა, როცა ქართველ კაცს ამ გვარის კილოთი დაუწყებ ლაპარაკსა. სჯობს გამოვიცვალოთ საგანი მასლაათისა. ჭირი ეს არის, აბა რომელი რა ამოვირჩიო, რა გიჯობთ, რა მოგწონთ, რა იცის კაცმა. სანამ თქვენ არ დამისახელებთ თქვენს საკბილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თას თუმნამდე, მოაგროვა ხელის-მოწერით და იმედია მოკესწრობით ცეცხლის საქრობ მაშინას ყოველისავე მოწყობილობითურთ. მაშინ შეიძლება შეუბრალებელმა სტიქიონმა ცოტადი მაინც მოიღბოს გული და დაზოგოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება.

მეორე არა ნაკლების მნიშვნელობის საგანი, რომელიც დღევანდელს გარამს შეადგენს ქუთაისისას, გახლავთ მილის წყლის გაყვანა. აქ ჩამოვიდა ვიღაცა ბ-ნი განემანი, რომელიც, როგორც ამბობს, წარმომადგენელია ორის თუ სამის საბანკო სახლებისა; მან წინადადება მისცა ქუთაისის ქალაქის საბჭოს, მილის წყალს გამოვიყვანო. განემანი სიტყვას აძლევს ქალაქს მილის წყალი გაიყვანოს უმთავრეს ქუჩებში, რომელთაც 18 ვერსი სიგრძე აქვთ. ამას გარდა სთხოვს ქუთაისსა გორაზე ადგილს, სადაც უნდა მოაწყოს მაშინები და წყლის საწმენდი ფილტრა. იქ უნდა აიყვანოს რიონის წყალი ქალაქის სათავიდამ და მერე დაურიგოს ქალაქს. განემანს განზრახვა აქვს აძლიოს მუქთად ქალაქს ყოველ დღე 5,500 ვედრა წყალი და რაც ამაზე მეტი დასჭირდება ქალაქს—იმისთვის ეს უკანასკნელი იხდის $^{1}/_{8}$ კაპ. თითო ვედრაზე. სარგებლობის უფლებას თხოულობს განემანი ქალაქისაგან ორმოცის წლის ვადით და იმ პირობით, რომ თუ ქალაქმა მოინდომა, ნება აქვს ოცის წლის შემდეგ შეისყიდოს ეს უფლება და მაშინა ყოველისავე მოწყობილებით, შემოსავლის მიხედვით. მცხოვრებლებს იგი აძლევს წყალს $^{1}/_{3}$ კაპეიკად თითო ვედრაზე. ეს საქმე საბჭომ მიანდო კომისიას და თითონაც მოანდომა ოთხი თუ ხუთი სხდომა, მაგრამ ჯერაც არ გათავებულა. ეტყობათ ხმოსნებს, რომ ამ საქმეს სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ. ეს გიდევაც წარმოსთქვა აშკარად ერთმა მათგანმა. დაახლოვებითაც არა აქვთ გაგება, თუ ან რა დაეხარჯება იმ კაცს ამ საქმეში, ან რა შემოსავალი ექნება, რომ სამართლიანი და საფუძვლიანი პირობა დაუდვან განემანს. ისიც-კი არ იციან დაახლოვებით, თუ რამდენი წყალი დასჭირდებათ ქალაქის მოსარწყავად თუ ქუჩების სუფთად და რიგიანად შესანახავად. მაგალითად, ერთი ხმოსანთაგანი, ფრიად განათლებული და გამოცდილი კაცი, ამტკიცებდა საბჭოში, რომ დღეში 4,000 ვედრა წყალი საკმარისია ქუჩების მოსარწყავადაო, მაშინ როდესაც 18 ვერსტის მანძილზე, სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, მაგალითად, ორორი ვედრა (დღეში თუ ორჯელ მაინც მოირწყა ქუჩები), საჭიროზედ დასჭირდება ოცი ათასი ვედრა წყალი. ქალაქს არ შეუძლიან ეს ხარჯი გასწიოს, თუ ნახევარი მაინც მუქთად ვერ იშოვა. შეიძლება გვითხრან, თქვენც დიდი ცვლილება ჯერ სულ არაფერი გქონდათო და ეხლა სულ ყველაფერი მოინდომეთო. ვსთქვათ, ეს მართალია, მაგრამ ორმოცის წლით უფლებას შეძლევაც ძნელი საქმეა. ვინ იცის როგორ წავა ქუთაისის საქმე? ყოველს შემთხვევაში ძლიერ სანატრელი და საჭირო საქმეა მილის წყლის გაყვანა ქუთაისში. ჩვენს მშვენიერს, კოპწია ქალაქს რომ სიფაქიზეც ექმნეს და მტვერისაგანაც დაცლილი იქმნეს, მაშინ აქ ცხოვრებას რაღა აჯობებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდ-ძალი შეძლებული ხალხი მოაწყდებოდა ქუთაისს და შემოსავალიც მოემატებოდა. ეხლა-კი, ამ ერთის წლის წინად, ლაპარაკი აღიძრა იმაზედ, რომ უმჯობესი იქმნება სასამართლოები ბათუმში გადიტანონ, რადგან აქ ცხოვრება ძნელია ტალახისა და მტვერის გამოგო.

ი—ძე.

## პარიჟი

(დასასრული*)

ბინდის შემდეგ

შებინდდა თუ არა, წინადვე მომზადებული მაშხალები აანთეს; ხეფბის უმთავრესი ნაწილი სასიამოვნოდ იყო გაჩაღებული; სენას ნაპირებზე ტევა აღარ იყო: ხალხი შუშხუნების აშვებას უცდიდა.

8 საათზე თანხმობის მოედანზე მოიხდა ყოფნა; ხალხი დიდ-ძალი შეკრებილიყო მოედანზე და განსაკუთრებით სტრასბურგის ღუსკუმასთან, რომლის შავგვირგვინებით მორთულობა მაყურებლებს გულს უთუთქავდა**). მოედნის ბრწყინვალე განათება კაცს თვალს სჭრიდა; ხიდის მეორე ნაპირზე დეპუტატთა დარბაზი თუმცა სადად, მაგრამ ლამაზად იყო გაჩაღებული; შუა ალაგას მაშხალებით ორი დიდი ასო R. F. (Républigue Française—საფრანგეთის რესპუბლიკა) იყო გამოყვანილი.

სწორედ 9 საათზე შუშხუნები აუშვეს; ზევით ასული შუშხუნები რესპუბლიკის დროშის ფერებად იშლებოდნენ.

ხალხი მხიარულობდა და განუწყვეტლად მღეროდა „C'est Boulanger, qu'il nous faut!“-სა; მხიარულებამ გათენებამდის გასტანა.

პრანზინის საქმე

14 მკათათვის მოლოდინზე ნაკლებ პარიჟელებს პრანზინას საქმე არ აინტერესებდა, რომლის გარჩევა 10—14 მკათათვემდის გაგძელდა.

დიდი ხანი არ არის, რაც პარიჟში სამი კაცის მკვლელობა მოხდა ერთად: ორის ქალისა და ერთის ბავშვისა. ყველას ყელები ჰქონდათ გამოჭრილი და პაწია ქალს-კი თავი თითქმის სრულიად მოჭრილი ჰქონდა. ამ მკვლელობამ მეტად აალელვა პარიჟელები.

მკვლელობას შემდეგ ორმა დღემ გაიარა და მკვლელი არსად სჩანდა, თუმცა პარიჟის გაწვრთნილი პოლიცია იმას საპოვნელად ყოველ ღონის-მიებასა ხმარობდა. ბოლოს ეჭვი პრანზინზე აიღეს, რომელიც იმ ჟამად მარსელში იმყოფებოდა და სხვა-და-სხვა ნივთებს აგირავებდა. დაიჭირეს, მაგრამ პრანზინმა სრულებით უარი-ჰყო თავის დანაშაულობაზე, თუმცა-კი აღიარა, რომ მოკლულთ ვიცნობდიო, რომ მკვლელობის მეორე დღეს წავედი მარსელში და სხვა ამისთანები, რაც აშკარად ამტკიცებდა იმის დანაშაულობას.

მეტად გაგრძელდება წერილი, რომ დაწვრილებით აგწეროთ ეს საქმე და ვიტყვი მხოლოდ, რომ მოწმების ჩვენებიდგან აღმოჩნდა პრანზინის არა-სასიქადულო წარსული და ის გარემოება, რომ პრანზინს მკვლელობამდის თავის საყვარლების ხარჯზე უცხოვრნია (პრანზინი კარგი თვალ-ტანადი კაცია).

საქმის გარჩევა, როგორც ვთქვი, 10 მკათათვეს დაიწყო; ხალხი დიდ-ძალი ესწრებოდა, მეტადრე ქალები, რომლებსაც აინტერესებდა ჯერ მკვლელის და მერე ქალების გულისა და გრძნობის დამმორჩილებელის ნახვა.

საქმის გარჩევაზე პრანზინი მეტად თავ-შეკავებული იყო; მხოლოდ ხან-დახან, როცა ჩვენებაში დაიჭერდნენ ხოლმე, აზრი ეშლებოდა, მაგრამ ისევ მალე მოდიოდა გონებაზე.

13 მკათათვეს პრანზინის ვექილმა ბ-ნ დემანჟმა, რომელიც კარგს ორატორად არის ცნობილი, შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა და მსაჯულების ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ შესაძლებელია პრანზინი ქურდი იყოს და არა მკვლელიო. ეს მოსაზრება იმაზე დაამყარა, რომ პრანზინი მკვლელობაში დანაშაულად იმიტომ იცნეს, რომ მოკლულთა ნივთები უპოვესო.

ბ-ნ დემანჟის სიტყვას მიუხედავად პრანზინს სიკვდილი მიუსაჯეს.

პ. ყ—ნი

*) იხ. „ივერია“ № 147.

**) მკითხველს ეცოდინება, რომ საფრანგეთმა ქალაქი სტრასბურგი უკანასკნელის ომის შემდეგ დაკარგა.

## უცხოეთი

ბოლგარია. გაზეთი „Neue Freie Presse“ უარ-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომ ბოლგარიის საერო კრების დელეგატებმა შეაცდინეს პრინცი ფერდინანდი შესახებ ბოლგარიის საქმის ნამდვილის მდგომარეობისაო. გაზეთის სიტყვით, პრინცმა ძალიან კარგად იცოდა ბოლგარიის ყოველივე გარემოება და, როცა დელეგატებმა გადაჭრილი პასუხი მოსთხოვეს, პრინცმა ითხოვა ორის კვირის ვადა, რომლის განმავლობაში იმედი ჰქონდა, გავიგებ სახელმწიფოთა აზრსაო. თუმცა სოფიიდამ ცუდი ხმები მოდიოდა, მაგრამ ვენაში მაინც დელეგატები იმას ამბობდნენ, ვითომ ბოლგარიაში საქმე თავის რიგზედ მიდის და ვითომ ხალხი ელის პრინცს ფერდინანდსაო. ისინი ბეჯითად ამტკიცებენ, რომ აზრადაც არა გვქონდა პრინცის შეცდენაო. როცა დელეგატებს ჰკითხვენ ხოლმე, თუ რითი დასრულდება ბოლგარიის საქმეო, ისინი პირ-და-პირს პასუხს არ იძლევიან, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ორის ან სამის კვირის შემდეგ პრინცი ჩამოვა სოფიაშიო.

გაზეთი „Петербургскія Вѣдомости“ ამბობს, რომ თუმცა ბოლგარიის დელეგატებს იმედი აქვს კობურგის პრინცისა, პრინცმა გადაწყვეტა უარ-ჰყოს ბოლგარიაში გამთავრება, რადგანაც უმეტესი ნაწილი სახელმწიფოებისა არ თანაუგრძნობენ მას კანდიდატობას. როგორც პარიჟის გაზეთები ამბობენ, კობურგის სახლობის თავი კაცი, პრინცი ერნსტი იმას თანხმაა, რომ პრინცმა ფერდინანდმა იკისროს ბოლგარიის მთავრობა, ხოლო ძმები-კი არ ურჩევენ ფერდინანდს ბოლგარების შეუსრულებელს იმედს ხელი შეუწყოს, რადგანაც მრავალ სამხედრო პირთა დათხოვნა სამსახურიდამ, ბოლგარიის ჯარების დაუნდობლობა ფერდინანდისადმი და არეულობა დუნაის ახლომახლო მაზრებში მოითხოვენ დიდს საფრთხილეს და წინ-დახედულობას პრინც ფერდინანდისაგან. იმათის აზრით, პრინცმა ან უარი უნდა სთქვას მთავრობაზე, ან და უნდა მოიცადოს იმ დროს, როცა ბოლგარიის საქმე სხვა რიგად დატრიალდება.

## წვრილი ამბები

— პარიჟი, პუასონიერის ბულვარზე, კერძო საზოგადოებას განუზრახავს ბროლის სასახლის აშენება. უმთავრესი დარბაზი ამ სასახლისა საკონცერტებოდ იქმნება მოწყობილი. სასახლის აშენებისა და სასახლე ადგილის ყიდვისათვის 5,200,000 მან. გადაუდვიათ. დარბაზში შემსვლელთ კაცის თავზე 40 კაპ. გადაახდევინებენ თურმე.

— პარიჟშივე ამას წინად სხდომა ჰქონიათ საერთა-შორისო მკურნალთა კონგრესს და იმაზე ჰქონიათ სჯა, რომ ფერაკის ტარება განიდევნოთო. 264 ხმას უმეტესობით წინააღმდეგ 103-სა გადაუწყვეტ-

---

საგანს, მანამდის მე ძალა-უნებურად ალალ-ბედზე უნდა ვიარო და რასაც წავაწყდები, იმაზე გელაპარაკოთ. აი თუნდა: გული დავაჯახე იჯარადრობას. მერე იცით რომელს?—გვირაბი რომ გაჰყავს ქვიშხეთიდამ წიფამდე, и обратно.

ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ყლუპს აღარა კმარობენ, ყლაპსაც ხელს აწვდიან და ყველა ამის უკან სრბოლაში სულს ირთმევენ, იმის ფიქრში არიან, რომ იგდონ როგორმე ერთი მოზრდილი ლუკმა, გინდ ამისთვის ხელიდამ გაუშვან მთელი თავისი ადამიანური ღირსება და პატივი. არ ვიტყვით, რომ ეს ძრიელ მოსაწონი რამ იყოს, მაგრამ ასე-კი არის და, ვინც რა უნდა თქვას.

ფული, სულ ფული, ფული, ამინ და კირილეისონ! არც აქეთ და არც იქით! ამის გარეითად უმეტესობა არცარასა ჰხედავს და არც უნდა, რომ დაინახოს. ამ ფულის მოსაპოვებლად ვინ იცის, რას არ აწყდებიან. მაგრამ ძნელი ის არის, რომ მრავალთა მძებნელთა შორის მხოლოდ რამდენიმე პირი გამოჩნდება ხოლმე რჩეული, გაივსებს ჯიბე-უბეს და სხვები-კი პირში ჩალა-გამოვლებულნი რჩებიან. ამ ამბავს, სხვათა შორის, ვხედავთ დღეს სურამის გვირაბზედაც. იჯარის საქმემ ლამის ჰკუა წაართოს იქაურებსაც და გარეულებსაც. ყველანი იმის ნატვრაში არიან, რომ ეგებ როგორმე იჯარა დაინარჩუნონ. ეცილებიან ერთმანერთს და ექიშპებიან მრავალნი, ხოლო გაბედნიერდება ხოლმე მარტო ერთი მათგანი. იჯარა კარგს მოგებას იძლევა, მაგრამ ვინ აასრულებინებს, ან თითონ რად აასრულებს, როდესაც შეუძლიან ნახევარ ფასად სხვაზე გასცეს! ღმერთმანი, ცოტა მუშტარს იპოვნის თუნდა ნახევარ ფასადაც! აიღებს იჯარას პეტრე, მოგებით გადასცემს იაგორას; იაგორაც არ გეგონოთ სულელი კაცი, რომ თითონ შეასრულოს საქმე. ბლომად არიან მწყურვალნი, მხვეწარნი, რომელნიც პირ-იქით სამადლობელოსაც მისცემენ, ოღონდ იმათ დაუთმოს იჯარა—თითონაც ირგოს და სხვასაც ყელი ჩაატკბარუნებინოს. ამ გვარად სწველიან ერთსა და იმავე იჯარას რიგრიგად ორი, სამი, ოთხი, ხუთი და და ხან ექვსი კაციც, მანამ ისე არ გამოსწველიან, რომ ხსენიც-კი აღარ შეარჩინონ. მერე ასე მილეული იჯარა გადადის ან მეგრელზე, ან გურულზე, ან იმერელზე. და ამ გზით იგი იჯარა

წყაროს ჰგავს,
რა მთიდამ გარდმოჰქანდების:
რაოდენ ველზე შორსა ვალს,
ეგოდენ დაუძლურდების.

მოდი და აქ გამორჩი რასმეს! ვაი იმას, ვინცა სცდება და ნაბოლოვარს ეტანება წინ-დაუხედავად!...

თუმცა ზოგნი აქაც-კი ახერხებენ ხელის მოთბობას და ყელის ჩაკოკლოზინებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამისთანა საქმეში დაოსტატებულნი არიან უფრო ესრედ წოდებულნი «ახალმოსულნი». ისინი თვითონ იჯარას ხომ ველარა სწველიან, რადგანაც ძუძუ გამშრალია, და მუშა ხალხს გარდააქცევენ ხოლმე მწველელ ფურად, და ამათ ხომ კაი ცური აქვთ... კაი ცური განა იმ ბერძნებს-კი არა აქვთ, გვირაბზე რომ მუშაობენ ლიხის მთაზე, მაგრამ საწველად რომ მიუვლენ, ასეთი ლაზათიანი წიხლები იციან, რომ ერთის დღის მანძილზედაც ვერ მიეკარებით.

გეხსომებათ, რომ ერთმა იჯარადარმა მოიწადინა ბერძენ მუშების მოწველა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ბერძნები იმას არ გაექელვინნენ, არ დაეჩაგრინნენ. აქედამაც უარა იჯარადარმა, იქიდამაც ულოლიავა, მაგრამ ბერძნებმა ტყუპ-ტყუპადა ჰკრეს წიხლები და ერთხელ იქამდის მიიყვანეს საქმე, რომ სულ საწველავი ზედ დაამტვრიეს და მანამ თავისი არ ჩაიბარეს,

თავშიც სცეს, პირშიც აფურთხეს,
გალანძღეს, გაათრიესო.

**

ბოლოს ორიოდე სიტყვა კიდევ და კიდევ ჩვენს კორრესპონდენტებზე. გაგვეჭირეს, ბატონებო, საქმე ბუნების აღწერით. მშვენიერი და ტურფა რამ არის ჩვენი ქვეყანაო. ვთქვათ, ეს კიდევ არაფერი—სიტყვის მასალაა, ხოლო ამასთან რომ იძახიან: ძალიან მდიდარიცააო, ამას კი აღარ ჰკითხულობენ, მაშ ღარიბნი რაღადა ვართო, და ჩვენი წუწუნიც ხომ სულ ეს ჩვენი სიღარიბეა.

მაგრამ კარგი და პატიოსანი. ვიყაბულეთ, ბატონო კორრესპონდენტო, რომ თქვენი მხარე ტურფა და მშვენიერია, მდიდარიც არის, თუმცა (ჩვენში კი დარჩეს) შიმშილით კუჭი გაღნებათ, გარნა, თქვე კაი კაცებო, ბუნების მეტი სხვა არა არის-რა თქვენში? კაცი აღარ არი? არ იცინის, არა ტირის? არას დარდობს, არას იმედოვნებს? თქვე დალოცვილებო, ერთი ამ ორფეხაზედაც ამოიღეთ ხმა, მითომ-და ეგეც ბუნების სამკაულია, თუ თავისთავად ფასი და გამოსარჩევი არა აქვს-რა.

აი, იმ დღესაც ერთს გამოუეხმაურე: ერთი შემატყობინე-მეთქი, ქუთაისში რა არის სახარბიელო, რას აკეთებს ჩვენი მოსწავლე, ნასწავლი, მასწავლებელი და მაშვრალი ხალხი-მეთქი.

ამაზედ მომივიდა ერთი უშველებელი ეპისტოლე და მწერალი გაგიჟებით მიამბობდა ქუთაისის მიდამოს სიმშვენიერეს, რომელიც ათასჯერ მინახავს მე თითონ, ათასჯერ უნახავს თითონ მწერალს, ათასჯერ აუწერიათ პოეტებსა, მაგრამ ვისაც არ უნახავს, იმისთვის უნახაობა სანახაობად ვერ გადაქცეულა.

ეპისტოლეს ბოლოზე ესეცა ჰქონდა ჩაკერებული:

«ჩემო ძმობილო, გაზეთს უთხარ, ნუ ინაღვლის და ნუ სწუხს, რადგან ჩვენში ყოველივე თავის რიგზე მიდის და მოდის. ამის გამო ახალი ამბავი აქ არა არის-რა. მაშვრალნიცა და უსაქმურნიც ერთ ნაირად ვატარებთ დროებას—კარგადა ვჭამთ, კარგადა ვსვამთ, უფრო უკეთესად გვძინავს და სხვა რაღა უნდა მოეთხოვებოდეს ადამიანსაო!»

მართალიც-კია, მე და ჩემმა ღმერთმა. ტყუილს ხომ არ ამბობს რუსთაველი:

ჭამა-სმა—დიდად შესარგი,
დება რა სავარგულია?

ეს ბოლო სიტყვები-კი როგორღაც ვერ მოჰხვლია რუსთაველსა. აგე, თუ „სავარგული“ არ არის, მაშ ქუთათელებს ძილად „დება“ ეგრე რად მოსწონებიათ?.. იქნება მიწის-ძვრამ ძილი დაუფრთხოთ და დავიღუპენით!..

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ, რომ ფრანგის ტარებას უნდა სხვა რომელისამე ტანისამოსით შევცვალოთო.

— „Journal de la ligue patriotique Contre l'alcoolisme“-მა დაბეჭდილია მეტად ყურადღების ღირსი და საინტერესო სტატისტიური ცნობები იმის თაობაზედ, თუ რამდენი ადამიანი კვდება ადრე და მალე ალკოჰოლის გამოისობით. ამ სტატისტიურ ცნობებიდამ სჩანს, რომ შედარებით სიღარიბე, მძიმე მუშაობა და ულუკმო-პურობა თურმე ის მალე არ უსწრობს კაცს სიცოცხლეს, როგორც სიმთვრალე. ხელოსანთა სიკვდილის სტატისტიურ ცნობებიდამ კიდევ ის სჩანს, რომ ხარაზსა, მჭედელსა, ჩილინგდარსა, დაბაღსა და საზოგადოდ ყველა სხვა ხელოსნებზე, რომელთაც მძიმე სამუშაო აქვსთ, დახშულს ჭაურში მუშაობენ, ცუდად იკვებებიან, უფრო მეტად ადრე და მალე მიკიტანხანებსა და სირაჯებთან მოსამსახურენი იხოცებიან და სიცოცხლე ესწრაფვებათ.

— წლეულს ასი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ბორკილი გაღსი დაწერილა. 1787 წელს ისპანიის კომპოზიტორს ვიკენტი მარტინს ვენაში დაუდგამს ოპერა, რომელშიაც ახალი გვარი საცეკვაო იყო თურმე მოქცეული. ეს ახალი საცეკვაო ისე მოსწონებია საზოგადოებას, რომ მას შემდეგ ყველა ბალებში შემოუღიათ ვალსის სახელით.

— ჭაერში-მსრბოლს ბედნიერ გლერჯის უბედურება დაჰმართვნია ამ რამდენისამე დღის წინად ნიუ-იორკში ჭაეროსტატით ასვლის დროს. ჭაეროსტატი გაზითა ყოფილა სავსე და ამიტომ ნელ-ნელა ადიოდა თურმე მაღლა. გლერჯი ჩამოკიდებული ყოფილა ტრაპეცზე, ქარს იმდენი უხლია აქედ-იქით ჭაეროსტატი, რომ გლერჯი ერთის სახლის კედლისათვის მიუხეთქებია მაგრად, გლერჯის გაჰშვებია ხელიდგან ტრაპეცი, დაცემულა მიწს და სული დაუნთხევია.

## გასართობი

**ტიურნიურ-ი-ყულაბი.** ბევრსა სწერდნენ ტიურნიურზე, წინაალმდეგნი იყვნენ ამ გითომ და მორთულობის ტარებისა ქალების მიერ, მაგრამ ქალები მაინც ზურგიდგან არ იშორებენ ამ მშვენიერთა სქესის დამამახინჯებელს ტიურნიურს. ზოგიერთი ქალები ტიურნიურს სხვაფრივაც ხმარობენ თურმე, მაგალითებრ, ყულაბად. ეს სამასხარაოდ მოგონილი-კი არა, ნამდვილად დამტკიცებული ამბავია სასამართლოში.

ამ ამბის გმირი-ქალი ჟანნა გუდერკია, მოსარეცხე დედაკაცი. ამ ქალს ძალიან მოსწონებია ერთი ყმაწვილი-კაცი, მენახშირე ანტუანე როლაკი. ახალგაზდანი ჩქარა მიმხვდარან ერთმანერთის გულის-პასუხს, ერთს მშვენიერს დღეს გაუცვნიათ და გადაუწყვეტიათ, რომ ამა-და-ამ დღეს ჩრდილოვან-ფოთლოვანისაკენ გავისეირნოთ მონმორანსში.

27 ივნისს, შუა-დღისას, m-lle გუდერკს თავი დაუხურავს, ცისფერი კაბა ჩაუცვამს და როლაკთან ერთად წასულა ტყეში სასეირნოდ. ცოტა უვლიათ, თუ ბევრი უვლიათ, მისულან ტყეში და დამსხდარან ერთს ჩეროში. მოსარეცხე ქალი დაქანცულა და ტიურნიური და კორსეტი შეუხსნია, შევმსუბუქდებიო. მენახშირეს უეცრად შეუნიშნავს, რომ როცა ჟულიეტტას ტიურნიური შეუხსნია, ოქროს წკარუნი გაუღია და ეს ძალიან გაოცებია.

—რა წკარუნობს თქვენს ტიურნიურში, m-lle ჟანნა? უკითხავს მენახშირეს:—თითქოს ოქროს ფულის ხმა შემომესმა.

— მართალს ამბობთო,—უთქვამს ახალგაზდა ქალს:—ტიურნიურში ყულაბი მაქვს გამართული. მეშინიან ქურდებისა და ამიტომ მთელს ჩემს ქონებას თან ვატარებ, ტიურნიურში: ორი ობლიგაცია მაქვს შიგ პარიჟის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა და 40 მანათი ოქროს ფულად!...

როლაკი ყურს აღარ უგდებდა თურმე; თავი დაუნებებია ჟულიეტას არშიყობისა და ალერსისათვის, წაუვლია ხელი ტიურნიურისათვის და გაქცეულა.

ორ გვარის უბედურებით შეწუხებულს ქალს უჩივლია სასამართლოში და სასამართლოს როლაკისათვის ცამეტის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია.

**

ქებაა თუ ძაგება?

ვაჟი. მე საშინლად მიყვარს ჭკვიანი ქალები და თუ ცოლს შევირთავ როდისმე; ვეცდები, რომ ჩემზე სულელი ცოლი არ შევირთო.

ქალი. მესმის, მესმის! თქვენ სამუდამოდ უცოლოდ დარჩენა გადაგიწყვეტიათ...

## დეპეშა

17 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს დადგენილობა, რომლითაც რკინის-გზების საზოგადოებათა მოქმედებანი შესახებ წამსვლელ-წამომსვლელთა და საქონლის გადატან-გადმოტანის ფასების დაწესება მთავრობის ხელში გადადის; ამასთანავე გზათა, სახელმწიფო ქონებათა და საფინანსო მინისტრებს და სახელმწიფო კონტროლის ზედა-მხედველს ნება ეძლევათ თავიანთი აზრი წარმოადგინონ შესახებ იმისა, თუ როგორის ღონის-ძიებით უნდა განხორციელებულ იქმნას მთავრობის ზედამხედველობა, და აგრეთვე უნდა მოისაზრონ ფულის ანგარიშის ყოველივე გარემოება.

სოფია. ბოლგარიის უცხო-საქმეთა მინისტრი ნაჩევიჩი ვენას წავიდა, სადაც პრინც კობურგისას ინახულებს. დროებით სამინისტროს მმართვა მიენდო შინაგან საქმეთა მინისტრს სტრანსკის.

პარიჟი. ზოგიერთი გაზეთები იწერებიან, რომ გენერალ ბულანჟეს ჟულ ფერრისათვის თავის სეკუნდანტები გაუგზავნიაო.

18 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო რჩევის აზრი შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა იყოს შერიცხული სახასო გლეხთაგან ერთხნობით შემოტანილი ფული გარდასაწყვეტად ვალისა, რომელიც ადევთ წილად-ნარგებ მიწებისა (За надѣлы), და კიდევ შესახებ იმისი, რომ ირკუტსისა და ენისეის გუბერნიებში და აგრეთვე იაკუტის ოლქაში საპატენტო გარდასახადი მოემატოს და იმიერ-კასპიის მხარეში შემოღებულ იქმნას საბაჟო გარდასახადი და აგრეთვე გარდასახადი სასმელებზე.

პარიჟი. გენერალმა ბულანჟემ ხმალში გამოიწვია ჟულ ფერრი, რადგანაც უკანასკნელმა საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში გენერალ ბულანჟეს უწოდა სახელი მეამბოხესი, რევოლიუციონერისა, და კიდევ სხვა უკადრის სიტყვებით მოიხსენია.

პეტერბურგის ბირჟა, 17-ს ივლისს ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | $182^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | $259^1/_2$ |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | $248^1/_2$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | 99 | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 99 | — » | — » |
| ტფილისის ს ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — » | — » | $83^3/_4$ |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მკათათვე 31 დღით არის

**19 დღე კვირა.** ღირს. მაკრინასი. კათოლ. ვიკენტისა და ავგუსტასი. მუსულ. მე-11 რიცხვი ზილ-ყაადეს თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6, ტფილისში მზე ამოდის 4—56, ჩადის 7—19. მთვარე 12 დღისაა.

**20 დღე ორშაბათი.** წმ. ილია წინასწარ-მეტყველისა. სომეხ. წმ. კიპრიანე ეპისკ., 45 მოწ., წმ. ქალწულ იუსტინასი და სხვა. კათოლ. ილიასი, ჩესლავისა, გერონიმისა და ემილიანისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18.

**21 დღე სამშაბათი.** ღირს. სვიმეონ სალოსისა, წინ.-მეტყვ. იეზეკიელისა. სომეხ. წმ. ათანაგინე, 10 მოწაფეთა და სხვა. კათოლ. დანიელასი და პრაქსედისა. მუსულ. მე-13 რიცხვი ზილ-ყაადეს თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6, ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 7—16. მთვარე 14 დღისაა.

სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе), თავის გარდაწყვეტილების თანახმად, დანიშნა თავის სამართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ახალციხეში მცხოვრებელს გრიგოლ **იზმიროვს** და რომელიც მდებარეობს ქ. ახალციხეში. ეს მამული შეიცავს: 1) ერთსართულიანს ქვითკირის სახლს თავის ვენახით და საბოსტნე ადგილით; 2) ორს დუქანს, რომლიდგანაც ერთი ქვითკირისაა და მეორე ხისა და 3) საჰნავ-სათესს მიწას, რომლის სიგრძე 200 საჟენია და სიგანე 44 საჟ. ეს მამული დაფასებულია 1315 მან. ამ ფულით გადახდილ უნდა იქმნას მისი სახელმწიფო და კერძო ვალები. ამ მამულის გასყიდვის ვადა დანიშნულია 2-ს ენკენისთვეს 1887 წ., დილის 11 საათზე, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამის დღის შემდეგ.

ვისაც სურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მობრძანდნენ დანიშნულს დროზე საგუბერნიო სამმართველოში, სადაც შეეძლებათ ნახონ დაწერილებითი აღწერილობა ამ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახებ. (3—1)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе), თავის გარდაწყვეტილების თანახმად, დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს მოვალეს ხაზინისას მირზახან ბარუტჩევს და რომელიც მდებარეობს მე 9 განყოფილებაში ქ. ტფილისსა, ნიკოლაევის ქუჩაზე (Николаевская улица). ეს მამული შეიცავს ორ-სართულიანს სახლს ორის სარდაფით, ორ-სართულიანს ფლიგელს სარდაფით და მიწა სულ $133^1/_2$ ოთხკუთხს საჟენია. ეს მამული დაფასებულია 5580 მან. ამ ფულით გადახდილ უნდა იქმნას მისი სახელმწიფო ვალი. ამ მამულის გასყიდვის დრო დანიშნულია 4 ენკენისთვეს 1887 წლისას, დილის 11 საათზე, ხოლო განმეორებით ვაჭრობა (переторжка) იქნება სამის დღის შემდეგ.

ვისაც სურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მობრძანდნენ დანიშნულ დროზე საგუბერნიო სამმართველოში (Губернское Правленіе), სადაც შეეძლებათ ნახონ დაწერილებითი აღწერილობა ამ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები. (3—1)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе), თავის გარდაწყვეტილების თანახმად, დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს მოვალეს ხაზინისას ქრისტეფორე **ტერ-მიკირტჩიანს** და რომელიც მდებარეობს მე-9 განყოფილებაში ქ. ტფილისსა, სხვების მამულების შუა. ეს მამული შეიცავს ერთს ტანს ცარიელს მიწას, ზომით $227^1/_2$ ოთხ. კუთხს საჟენს და დაფასებულია 1137 მ. 50 კ. ამ ფულით გადახდილ უნდა იქმნას მისი სახელმწიფო ვალი. მამულის გასყიდვის ვადა დანიშნულია 5-ს ენკენისთვეს ამა 1887-ს წლისას, დილის 11 საათზე, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამის დღის შემდეგ.

ვისაც სურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მობრძანდნენ დანიშნულს დროზე საგუბერნიო სამმართველოში, საცა შეეძლებათ ნახონ დაწერილებითი აღწერილობა ამ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები. (3—1)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе), თავის გარდაწყვეტილების თანხმად დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის აუქციონით უსახელო სარგებლიანი ბანკის ბილეთები. ეს ბილეთები ეკუთვნიან ყულფისა და ნახჩევნის მარილის იჯარადრებს, დიმიტრი ფირაქოვს, არტემ ადამოვს და პეტრე მელიქოვს, რომლებმაც დაარღვიეს პირობა. ამ ბილეთებს შეადგენენ: თხუთმეტი ობლიგაცია 1878-ს წლის აღმოსავლეთის მეორე სესხისა (15 облигацій 2-го восточнаго займа 1878 г., на предъявителя) №№ 129,317 და 129,331, თითო ასის თუმნისა, ხუთ-ხუთის კუპონითა; 2) ხუთი იგივე ობლიგაციები ხოლო №№ 129,298 — 129,302, თითო ასის თუმნისავე, ხუთ-ხუთის კუპონითა; 3) სამი ობლიგაცია 1877-ს აღმოსავლეთის პირველის სესხისა (3 облигацій 1-го восточнаго займа 1877 г., на предъявителя) №№ 056,711—056,713, თითო ასის თუმნისავე, ოთხ ოთხის კუპონითა; 4) ხუთი სახელმწიფო ბანკის 5% სარგებლიანი ბილეთები პირველის გამოცემისა 1860 წლისა (5 государственныхъ билетовъ 1-го выпуска 1860 г., 3-го десятилѣтія, на предъявителя) №№ 85,121—85,125, თითო ათის თუმნისა, ცხრა-ცხრა კუპონითა; 5) ერთი სახელმწიფო 5% სარგებლიანი ბანკის ბილეთი 1860-ს წლის პირველის გამოცემისა, № 25,876, თხუთმეტის თუმნისა, ცხრა კუპონითა (1 государственный билетъ 1-го выпуска 1860-го года, 3-го десятилѣтія); 6) ორი სახელმწიფო 5% სარგებლიანი ბანკის ბილეთი 1861-ს წლისა, №№ 67,503 და 67,504, თვითო ათის თუმნისა, თერთმეტ-თერთმეტ კუპონითა (2 государственныхъ 5% билета 1861 г., 3-го десятилѣтія, на предъявителя); 7) ერთი სახელმწიფო 5% სარგებლიანი ბანკის მომგები ბილეთი 1864-ს წლის პირველის შინაგან სესხისა, 15,426 სერიისა, № 46, თვრამეტის კუპონითა (1 государственный 5% билетъ 1-го внутренняго съ выигрышами займа, 1864 г.); 8) ორი ობლიგაცია აღმოსავლეთის მეორე სესხისა №№ 129,316 და 204,870, თითო ას თუმნიანი, ხუთ-ხუთ კუპონითა, სულ ერთიანად 25,950 მანათისა. ეს ბილეთები იყიდება იმ ხაზინის ვალის შესავსებლად, რომელიც ბილეთების პატრონებმა უნდა გადაუხადონ კავკასიის სამთო ნაწილის გამგეობას (Управленіе Горною частью Кавказскаго края).

ზემოდ აღნიშნულის სარგებლიან ბილეთების გასყიდვა დანიშნულია ამ 1887-ს წლისა 30-ს ივლისისათვის, დილის 12 საათზე.

ამიტომაც ვისაც ჰსურთ ეს სარგებლიანი ბილეთები იყიდონ, უნდა მოვიდნენ საგუბერნიო სამმართველოში (Губернское Правленіе) დანიშნულს ვადაზე. (3—1)


კერძო განცხადებანი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

ბიბლიოთეკა

და

კანცელარია

გადატანილია ახალს სადგურში: **სასახლის ქუჩაზე, ხარაჯიშვილის სახლში, ეზოში.**

Дворцовая ул., домъ Сараджева, во дворѣ.

გამოვიდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში:

ციცინათელა

საყმაწვილო ამბები,

შედგენილი და გამოცემული ა. იანქოშვილისაგან.

ფასი ხუთი შაური.

ვინც თხუთმეტს ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, იმას 20 კაპ. დაეთმობა თითო წიგნი. (2—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

რამდენიმე სიტყვა

ბ-ნი ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ

„ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო

აკაკისა

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ორი აბაზი


Дозв. цен. Тиф. 17 іюля, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე